



ქ. ცაგერი, რუსთაველის ქ. №58, ტელ.: +995 599 18 24 25  
ელ. ფოსტა: info.cageri@gmail.com

## ცაგერის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება

N 2-155  
26/07/2018

155-07-4-201807261608



მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის  
სტატუსის მინიჭებისა და შეწყვეტის საკითხის განხილვისა და მუნიციპალიტეტის  
მერისათვის შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის მიზნით საბჭოს შექმნის შესახებ.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54-ე  
მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ვ“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის  
2015 წლის 19 ნოემბრის N 591 დადგენილებით დამტკიცებული „მაღალმთიან  
დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა  
და აღდგენის წესის“ მე-6 მუხლის შესაბამისად

### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭებისა და  
შეწყვეტის საკითხის განხილვისა და შესაბამისი რეკომენდაციების წარდგენის  
მიზნით შეიქმნას საბჭო შემდეგი შემადგენლობით:
  - ზურაბ ხეცურიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის-  
ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი - საბჭოს თავმჯდომარე.
  - იამზე ბურჯალიანი - II სტრუქტურული ერთეულის იურიდიულ საკითხთა და  
ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი - საბჭოს  
თავმჯდომარის მოადგილე.
  - მირზა ქომეთიანი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის-  
ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - საბჭოს მდივანი.
  - ავთანდილ ევაძე - საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საქმისწარმოების  
განყოფილების I კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.
  - ნუგზარ ტვილდიანი - ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების I  
კატეგორიის უფროსი სპეციალისტი - საბჭოს წევრი.

2. საბჭოს მუშაობაში სოფლისა და დასახლებული პუნქტებში მცხოვრებ კონკრეტულ პიროვნებაზე სტატუსის განსაზღვრაში სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობა მიიღონ მერის წარმომადგენლებმა ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ცაგერის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2015 წლის 3 დეკემბრის N 2-153 ბრძანება.
4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ცაგერის რაიონულ სასამართლოში /სათიანის ქ. N 14/.

ავთანდილ უგრეხელიძე

მუნიციპალიტეტის მერი

